CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION

Caritas
Czech Republic

მდგრადი მესაქონლეობის, პროდუქტიულობის ზრდისა და ბაზრის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა საქართველოში

ერთად მომგებიანი მეცხოველეობისკენ!

პროექტის მიზანია თუშეთში, ფშავ-ხევსურეთსა და ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერების შემოსავლების გაზრდა არსებული მესაქონლეობის პრაქტიკის შეცვლით. კერძოდ, ჯიშობრივი კვებითი პრაქტიკის გაუმჯობესებით, ცხოველთა ჯანმრთელობისთვის მეტი ყურადღების მიქცევით და საძოვრების მდგრადი და პროდუქტიული მართვით. გარდა ამისა, ყურადღება მიექცევა ბაზარზე წვდომის გაუმჯობესებას ბიზნესის განვითარებით, თანამედროვე სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების დანერგვით და მყიდველებთან და ფინანსურ წყაროებთან კავშირების დამყარებით. ამასთან ერთად, პროექტი იდენტიფიცირებას მოახდენს ჩეხური პრეციზიული სასოფლო სამეურნეო „ნოუ ჰაუს“ პოტენციურ მიმღებებს.

პროექტის შედეგი

სულ ცოტა **75 ფერმერი** გაივლის ტრეინინგს თანამედროვე მეხორცეულ მესაქონლეობაში.

სულ ცოტა **50 ფერმერი** გამოიყენებს მდგრადი და უფრო პროდუქტიული მესაქონლეობის პრაქტიკას.

სულ ცოტა **75 ფერმერს** გაეწევა დახმარება, რათა გაუმჯობესდეს მათი წვდომა ბაზარზე და დაცული იქნას მათი სტაბილური პოზიციონირება ბაზარზე.

სულ ცოტა **6 ხელოვნური განაყოფიერების** სპეციალისტი გადამზადდება (3 ხულოში, 2 ახმეტა/თუშეთში და 1 ფშავ-ხევსურეთში) და **50 ხელოვნური განაყოფიერება** განხორციელდება.

პარალელურად, პროექტი, კონკურენტული საგრანტო სქემის ფარგლებში, მხარს დაუჭერს სასოფლო სამეურნეო მექანიზმების და სხვა დამხმარე ნივთების შეძენას.

სამიზნე ჯგუფები

პროექტი მოიცავს თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის და ხულოს მუნიციპალიტეტის 75 ფერმერს. ასევე, ვეტერინარებს, ხელონური განაყოფიერების სპეციალისტებს, მყიდველებსა და შუამავლებს, ჩეხურ კომპანიებს. პროექტის საბოლოო ბენეფიციარები იქნებიან მცირე ფერმერთა ოჯახები და ხსენებული ტერიტორიების მაცხოვრებლები.

პროექტის დონორი:

ჩეხეთის განვითარების სააგენტო

პროექტის ბიუჯეტი: 400 000 €

მასალა მომზადებულია ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების თანამშრომლობის ოფიციალური დახმარების მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
ვივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015